585
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 31 (264) 12 ნოემბერი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

531. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხარეებისა, ოლქებისა, რაიონებისა, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელწოდების მიკუთვნების შეცვლის წესის შესახებ.

532. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის შესახებ.

533. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, რომ ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „იმ მოქალაქეთა ფულადი გადასახადის შესახებ, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ ქალაქებში“ და სსრ კავშირის კანონი აღნიშნული ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

9362

#### განყოფილება მეორე

534. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. სიმაკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

535. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ს. ნ. ბრატუსის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

536. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის გენერალ ა. ტ. სტუჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

537. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტ პ. ვ. მასალსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

538. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. რუბინშტეინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

539. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. თხილაიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

540. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ა. მ. ანდრეევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

541. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ვ. ტიაბუტას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

542. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ რიჰარდ ზორგესათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

543. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ მ. ა. სადოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის თაობაზე დადებული ევროპის კონვენციის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰ. ე. იშიკმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

544. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ახმეტის, გორის, ლანჩხუთისა და ყაზბეგის რაიონებში.

## განყოფილება მეორე

545. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ხ. ა. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

546. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. ლომთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

547. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ვარდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

548. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. კ. დევდარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

549. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. გაჩეჩილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

550. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

551. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

552. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. დ. ჯავრიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

553. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლების და კულტურის მუდმივ კომისიაში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

531 **მხარეებისა, ოლქებისა, რაიონებისა, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელწოდების მიკუთვნების შეცვლის წესის შესახებ**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა, დასახლებული პუნქტებისა, რკინიგზის სადგურებისა, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა, ფიზიკურ-გეოგრაფიული და სხვა ობიექტებისათვის სახელწოდების მიკუთვნების და შეცვლის საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განიხილონ მხარეებისა, ოლქებისა, რაიონებისა, სასოფლო საბჭოებისა, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, ქუჩებისა, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა ობიექტებისათვის სახელწოდების მინიჭებისა და შეცვლის დამკვიდრებული პრაქტიკა და დაადგინონ ამ საკითხების გადაჭრის წესი იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით „მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ“, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ:

ა) მხარეებს, ოლქებს, რაიონებს, აგრეთვე ქალაქებს, დაბებს, სოფლებს და სხვა დასახლებულ პუნქტებს სახელწოდებას მიაკუთვნებენ და შეუცვლიან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდების შეცვლა, რომლებშიც განლაგებულია ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ან რკინიგზის სადგურები, ხდება შესაბამისად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ან სსრ კავშირის გზათა სამინისტროს წინასწარ შეტყობინებით;

ბ) სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა ობიექტებს სახელწოდებას მიაკუთვნებენ და შეუცვლიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო ადგილობრივი დაქვემდებარების ობიექტებს — შესაბამისი სამხარეო, საოლქო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, იმ რესპუბლიკებში, სადაც საოლქო დაყოფა არ არის — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

გ) კოლმეურნეობებს და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს სახელწოდებას მიაკუთვნებენ და შეუცვლიან ამ ორგანიზაციების წევრთა საერთო კრებების შუამდგომლობით მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო იმ რესპუბლიკებში, სადაც არ არის საოლქო დაყოფა — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

დ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელწოდების მიკუთვნებისა და შეცვლის დროს არ უნდა მივაკუთვნოთ უკვე არსებული სახელწოდება.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს სახელმწიფო საწარმოებისა, რკინიგზის სადგურებისა, საზღვაო ნავსადგურებისა, აეროპორტებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საერთო-საკავშირო დაქვემდებარების სხვა ობიექტებისათვის, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდების მიკუთვნებისა და შეცვლის წესს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 სექტემბერი.

№ 2879-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 532 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გათავისუფლდეს ამხ. მიხეილ ავერკის ძე **ხარლამოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

2. დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **მესიაცევი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 ოქტომბერი.

**№ 2983-VI.**

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 533 იმის თაობაზე, რომ ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „იმ მოქალაქეთა ფულადი გადასახადის შესახებ, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ ქალაქებში“ და სსრ კავშირის კანონი აღნიშნული ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 27 აგვისტოს ბრძანებულება „იმ მოქალაქეთა ფულადი გადასახადის შესახებ, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ ქალაქებში“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წ., № 17, მუხ. 366) და სსრ კავშირის 1957 წ. 11 თებერვლის კანონი „იმ მოქალაქეთა ფულადი გადასახადის თაობაზე, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ ქალაქებში“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 4, მუხ. 73).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1964 წლის 4 ნოემბერი.
№ 2989-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 534 ამხ. ქ. მ. სიმაკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კაიუმ მუხამედხანის ძე **სიმაკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1964 წლის 26 ოქტომბერი.
№ 2971-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 535 პროფესორ ს. ნ. ბრატუსის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგეი ნიკიტას ძე ბრატუსი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 ოქტომბერი.
№ 2973-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 536 არმიის გენერალ ა. ტ. სტუჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით არმიის გენერალი ანდრია ტროფიმეს ძე სტუჩენკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 ოქტომბერი.
№ 2976-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 537 სსრ კავშირის სახალხო არტისტ პ. ვ. მასალსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი პავლე ვლადიმერის ძე მასალსკი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 ოქტომბერი.
№ 2981-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 538 ამხ. მ. ი. რუბინშტეინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მოდესტ იოსების ძე **რუბინშტეინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 ოქტომბერი.

№ 2982-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 539 ამხ. ა. დ. თხილაიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე დურსუნის ძე **თხილაიშვილი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 ოქტომბერი.

№ 2984-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 540 გენერალ-პოლკოვნიკ ა. მ. ანდრეევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია მათეს ძე **ანდრეევი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 ოქტომბერი.

№ 2985-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 541 ამხ. დ. ვ. ტიაბუტას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბელორუსიის კომუნისტური პარტიის მინსკის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. დიმიტრი ვასილის ძე **ტიაბუტა** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 ნოემბერი.

№ 2991-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 542 ამხანაგ რიჰარდ ზორგესათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ამხანაგ რიჰარდ **ზორგეს** სიკვდილშემდგომ მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 ნოემბერი.

№ 2992-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 543 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ მ. ა. სადოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გეოფიზიკის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ ალექსანდრეს ძე **სადოვსკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 ნოემბერი.

№ 2993-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

### საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის თაობაზე დადებული ევროპის კონვენციის შესახებ

1961 წლის 21 აპრილს ჟენევაში დაიდო ევროპის კონვენცია საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის შესახებ.

კონვენცია რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 14 მაისს.

სსრ კავშირის სარატიფიკაციო სიგელი შესანახად გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს 1962 წლის 27 ივნისს.

კონვენცია ძალაში შევიდა 1964 წლის 7 იანვარს.

კონვენციის ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 44, 1964 წლის 28 ოქტომბერი).

* * *

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰ. ე. იშიკმა

26 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა კრემლში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჰასან ესათ იშიკი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ი. მიურენი, მრჩეველი ს. ჯორუკი, სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ჯ. აკიოლი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ი. პ. კიკტევი, თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ჰ. ე. იშიკს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ს. გ. ლაპინმა.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კრასნოვოდსკის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ორი ტექნოლოგიური დანადგარის, ქოთურ-თეფე-ბელეკ-კრასნოვოდსკის გაზსადენის და ჩელეკენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურის ქარხნის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისა და ათვისებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 60 კაცი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „თურქმენნეფტეტრანსპეცსტროის“ № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი ი. ნ. მანშინი, ტრესტ „თურქმენხიმსტროის“ № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კალატოზების ბრიგადირი მ. მ. მინოსიანი და ტრესტ „ნეფტეზავოდმონტაჟის“ კრასნოვოდსკის სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალი დ. ნურმედოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 14, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 17 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 19 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 544 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ახმეტის, გორის, ლანჩხუთისა და ყაზბეგის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახმეტის, გორის, ლანჩხუთისა და ყაზბეგის რაიონული საბჭოები უკანასკნელ პერიოდში უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეს.

შემოწმებული რაიონების საბჭოები მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში ფართოდ იყენებენ მუდმივ კომისიებს, დეპუტატებს, თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აქტივისტებს და სხვ.

საბჭოების და მათი აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის გაძლიერებამ დიდად შეუწყო ხელი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს, დისციპლინის განმტკიცებას და სახელმწიფო-სამეურნეო აპარატის მუშაობის დონის ამაღლებას.

ამასთან ერთად ზემოთ აღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასკომები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების საქმეს.

რიგ შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება წინასწარ საკითხის სათანადოდ შესწავლის გარეშე, არ არის დაწესებული კონტროლი საბჭოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, რის შედეგადაც გათვალისწინებული ღონისძიებები შეუსრულებელი რჩება.

ასე მაგალითად, შეუსრულებელია გორის რაიონული საბჭოს და აღმასკომის 1963 წლის მაისისა და აგვისტოს გადაწყვეტილებები რაიონული საავადმყოფოსათვის ახალი კორპუსის მიშენების და სოფ. სოფ. ატენში და ზინდისლეთში სავადმყოფოს მშენებლობის შესახებ. ასევე შეუსრულებელია ახმეტის რაიაღმასკომის არაერთი გადაწყვეტილება რაიონის სასტუმროს და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

არის შემთხვევები, როცა აღმასკომები ერთსა და იმავე საკითხს რამოდენიმეჯერ განიხილავენ და გადაწყვეტილებებს განმეორებით იღებენ, მაგრამ საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება. ყაზბეგის რაიონული საბჭოს აღმასკომმა 1963 წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მიიღო გადაწყვეტილება სოფ. სნოსა და სოფ. სიონში საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სოფელ სიონში აბანოს მშენებლობა დაუმთავრებელია, ხოლო სნოში საერთოდ არც დაწყებულა. ასევე მოუგვარებელია ახმეტის რაიონის სოფელ მატნის რადიოფიცირებისა და განათების საკითხი, თუმცა ამ საკითხზე არსებობს სასოფლო საბჭოს არაერთი გადაწყვეტილება.

ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სამჯერ განიხილა საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ აღმასრულებელი კომიტეტები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სესიებისა და აღმასკომების მომზადებასა და ჩატარებას, საჭირო კონკრეტულ გადაწყვეტილებათა შემუშავებას და, რაც მთავარია, არასაკმარისად ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შემოწმების და შესრულების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგიერთი საბჭო ნაკლებად იყენებს მუდმივ კომისიებს, დეპუტატებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და აქტივს, ნაწილი დეპუტატებისა სუსტად არის დაკავშირებული თავიანთ ამომრჩევლებთან, არ დაყავთ ამომრჩევლებამდე საბჭოების გადაწყვეტილებები და არ რაზმავენ მოსახლეობას მათ შესასრულებლად, გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციებს საბჭოების სესიებზე აღმასკომები იშვიათად აკეთებენ, ხშირად კი ეს ინფორმაციები ფორმალურ ხასიათს ატარებენ. არასაკმარისია რაიონული საბჭოების მხრივ კონტროლი ქვემდგომი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ახმეტის, გორის, ლანჩხუთის და ყაზბეგის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიღებულ გადაწყვეტილებათა შემოწმებასა და შესრულებაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. მიაღწიონ იმას, რომ საბჭოს და მისი აღმასკომის მიერ მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება არ დარჩეს შეუსრულებელი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განსახილველი საკითხების წინასწარ შესწავლას, ამასთან გადაწყვეტილებანი მიიღონ რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

გ) საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომების ჩატარების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები დროულად აცნობონ შემსრულებლებს და გაშალონ სათანადო ორგანიზაციული მუშაობა მათ განსახორციელებლად. პერიოდულად მოახსენონ დეპუტატებს წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

დ) სისტემატურად შეამოწმონ როგორ სრულდება ქვემდგომი საბჭოების და მათი აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, შემოწმების შედეგები განიხილონ და დასახონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

2. დაევალოს ახმეტის, გორის, ლანჩხუთის და ყაზბეგის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ა. ბაკურაძეს, ამხ. ი. ეცადაშვილს, ამხ. რ. ებრალიძეს და ამხ. ი. წიკლაურს) ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1965 წლის 1 ივნისს.

3. დაევალოს რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობას და მიიღონ საჭირო ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 28 ოქტომბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 545 ამხ. ხ. ა. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევითი მუშაობისათვის აჭარის ისტორიაში, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ხარიტონ ახმედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე აზვლედიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 30 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 546 ამხ. ბ. ა. ლომთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბათუმის სავაჭრო საზღვაო პორტის უფროსი ამხ. ბორის ანთიმოზის ძე ლომთაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 30 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 547 ამხ. ა. გ. ვარდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მმართველი ამხ. ალექსანდრე გრიგოლის ძე ვარდიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 30 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 548 ამხ. გ. კ. დევდარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით. მრეწველობისა და კავშირგაბმულობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ქარხანა

„ელექტროგამშვების“ დირექტორი ამხ. გიორგი კონსტანტინეს ძე **დევდარიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 31 ოქტომბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 549 ამხ. ვ. მ. გაჩეჩილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვახტანგ მაქსიმეს ძე **გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 31 ოქტომბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 550 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

1. ლეილა მიხეილის ასულ **აბაშიძეს** — კინომსახიობს.
2. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **სანიშვილს** — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 5 ნოემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 551 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

1. ერეკლე გიორგის ძე ბერიძეს — პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. მარგარიტა დიმიტრის ასულ ჩხეიძეს — პიანისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 6 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 552 ამხ. რ. დ. ჯავრიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მხატვარ რუსუდან დიმიტრის ასულ ჯავრიშვილს მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 6 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 553 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა

1. ანდრია მელიტონის ძე აფაქიძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელს.
2. ისიდორე სილოვანის ძე გვარჯალაძეს — პროფესორს, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორს.
3. გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწისა

1. ევგენი ედუარდის ძე მიხელსონს — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ა. ვ. ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 6 ნოემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის სხდომა დეპუტატ დ. მჭედლიშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიის სხდომას, გარდა კომისიის წევრებისა, ესწრებოდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, არბიტრაჟის, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის და სხვა წარმომადგენლები.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მ. ყ. ლომიძის ინფორმაცია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტების შესახებ.

კომისიის გადაწყვეტილებით კოდექსების პროექტები გასაცნობად გადაეცა კომისიის წევრებს და ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების წარმომადგენლებს და ეთხოვათ წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლების და კულტურის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა დეპუტატ ი. მ. ბუაჩიძის თავმჯდომარეობით.

კომისიის სხდომას, გარდა კომისიის წევრებისა, ესწრებოდნენ: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. თ. ბუაჩიძე, ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი ამხ. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანდელაკი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გ. ჩუბინაშვილი და პროფ. ი. ციციშვილი.

კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარე დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოხსენება საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დააყენოს ეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 238 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 6 |
| ქ. რუსთავიდან | | 9 |
| ქ. კასპიდან | | 7 |
| ქ. ტყიბულიდან | | 2 |
| ახალციხის | რაიონიდან | 16 |
| გურჯაანის | „ | 1 |
| გორის | „ | 16 |
| გეგეჭკორის | „ | 27 |
| ზუგდიდის | „ | 35 |
| თელავის | „ | 9 |
| მაიაკოვსკის | „ | 26 |
| ორჯონიკიძის | „ | 31 |
| საგარეჯოს | „ | 29 |
| ცაგერის | „ | 1 |
| წალენჯიხის | „ | 23 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიმდინარეობს ხელმოწერა**

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

# უწყებებზე

## 1965 წლისათვის

**„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქვეყნდება:**

**პირველ ნაწილში (ქართულ ენაზე):**

ა) სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

გ) მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

**მეორე ნაწილში (ქართულ და რუსულ ენებზე):**

ა) საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

# „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“

**გამოდის თვეში სამჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.**

**ხელმოწერის ფასია:**

12 თვით — 2 მანეთი და 50 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 25 კაპ.

**ხელმოწერას მიიღებს:**

„სოიუზპეჩატი“, კავშირგაბმულობის განყოფილებები; კონტორები, სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია"
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

დაიწყო ხელმოწერა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე

## 1965 წლისათვის

**„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში"**

**ქვეყნდება:**

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები"

**გამოდის კვირაში ერთჯერ.**

**ხელმოწერის ფასია:**

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

**ხელმოწერას მიიღებს:**

„სოიუზპეჩატის" საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.